ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05

14 ივლისი 2014 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №44

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 21 თებერვლის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ”-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^{I} მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 21 თებერვლის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ”-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 21 თებერვლის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^{2} მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

პროექტი

დადგენილება

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 21 თებერვლის #13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 21 თებერვლის #13 დადგენილებაში (სსმ, 01. 03. 2013წ.) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1.

დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“

მუხლი 2.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,3. სამსახურის საშტატო განრიგი და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“.

მუხლი 3.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,2. სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საკრებულოს რეგლამენტი, გამგეობის დებულება, ეს დებულება და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები“.

მუხლი 4.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) გამგებლის, გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და გამგეობის საჯარო მოხელეების იურიდიულ კონსულტირებას, სამართლებრივი დასკვნების მომზადებას;

ბ) გამგებლის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან;

გ) გამგეობაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების, ადმინისტრაციული გარიგებების და სხვა დოკუმენტების სამართლებრივ გამართულობას, მათ შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და მუნიციპალიტეტის ნორმატიულ აქტებთან;

დ) მუნიციპალიტეტის გამგეობის კანონიერი ინტერესების დაცვას სასამართლოში, სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ე) სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას;

ვ) ოფიციალური დოკუმენტაციის მომზადებას;

ზ) გამგეობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე კონსულტაციის გაწევას;

თ) მოქმედი კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 5.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლიდან ამოღებული იქნას ,,ბ“ ქვეპუნქტი.

მუხლი 6.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი“.

მუხლი 7.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,3. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს სამსახურის ერთ-ერთი სპეციალისტი“.

მუხლი 8.

დადგენილებით დამტკიცებული დანართიდან ამოღებული იქნას მე-6 მუხლი.

მუხლი 9.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,1. სამსახურის დებულების მიღება, მასში ცვლილების და დამატების შეტანა ხდება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' შესაბამისად.

მუხლი 10.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: თეა უჯმაჯურიძემ